პროლეტარიანებო, ერთელ ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 23 იანვარი, 1952 წ. № 20 (9180). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ — „პრავდის“ 22-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXVIII წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა (1-ლი გვერდი).

მსოფლიოს ხალხები აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის ხსოვნას (1-ლი გვერდი).

ი. კოჭლამაზაშვილი — 1952 წლის კოლექტიური ხელშეკრულებები (მე-2 გვერდი).

დ. ნათოშვილი — მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე (მე-2 გვერდი).

გოგრელი მშენებლები ამ დღეებში (მე-3 გვერდი).

კოლმეურნეები ემზადებიან საანგარიშო კრებისათვის (მე-3 გვერდი).

ვ. მაჭავარიანი — ქართული ენა ქვეთის საპყრობილეში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ

საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ კაცობრიობის უდიდესი გენიის, მშრომელთა საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების ოცდამერვე წლისთავს.

ლენინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ყველა მშრომელი ადამიანისათვის, რადგან ლენინმა განსახიერა ყოველივე, რაც ჭეშმარიტად დიდი და გმირულია პროლეტარიატში. უშიშარი გონება, რკინისებური, შეუდრეკელი, მტკიცე, ყოვლის გადამლახავი ნებისყოფა, მონობისა და ჩაგვრისადმი წმიდა, უფლობელი სიძულვილი, რევოლუციური მგზნებარება, რომელიც მთებსა ხძრავს, მახვილის შემოქმედებითი ძალებისადმი უსაზღვრო რწმენა, უდიდესი ორგანიზაციული გენია — ყოველივე ეს შესანიშნავად იყო განსახიერებული ლენინში, რომლის სახელიც გახდა სიმბოლო ახალი სამყაროსი დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

ლენინის უკვდავი მოძღვრება, რომელსაც ლენინის საქმის გენიალური განმკრძობი ამხანაგი ი. ბ. სტალინი ავითარებს, ახლა მოიცავს ახეულ მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს. იგი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის დროშაა.

ლენინიზმის ზეიმი—ეს არის ისტორიული გამარჯვებანი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნიზმს. ლენინიზმის ზეიმი—ეს არის წარმატებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებისა, რომლებიც სოციალიზმის გზით მიდიან. ლენინიზმის ზეიმი—ეს არის განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გზას უნათებენ.

„ლენინის დროშით. — ამბობს ამხანაგი სტალინი.—ვაღიარაჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლებში. ლენინის დროშით მოვიპოვეთ ჩვენ გადამწყვეტი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის გავარჯვებისათვის ბრძოლაში“.

ახრულებს რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენი სამშობლო გადაქცია ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ, დაიცვა თავისი ისტორიული მონაპოვარნი საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან სამამული ომის წლებში, წარმატებით შეასრულა ომისშემდგომი ხუთწლედი და ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას.

კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თვალსაჩინო წარმატებებს ბრწყინვალედ ადასტურებს ლენინის გენიალური სიტყვები ხალხის რევოლუციური შემოქმედების დიდი ძალის შესახებ, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შესახებ.

„ჩვენ გვაძვს, — წერდა ვ. ი. ლენინი 1918 წელს, — მასალა ბუნებრივ სიდიდრეთა სახითაც, ადამიანთა ძალების მარგინის სახითაც, იმ

1952 წლის კოლექტიური ხელშეკრულებები

★

ი. კოტლამაზაშვილი

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე

★

გასული წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ბოლშევიკური პარტიის ხელძღვანელობით ფუდიდესი წარმატებანი მოიპოვეს როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ისე მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების საქმეში.

მოწინავე საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილმა რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით აითვისა მრავალი ახალი სახის პროდუქცია, მნიშვნელოვნად გაადიდა ქვანახშირისა და მრგანეცის მოპოვება, ფოლადის გამოდნობა, დაზგებისა და მანქანების, ქსოვილებისა და ფეხსაცმლის, კვების, ადგილობრივი მრეწველობის და მრავალი სხვა სახის პროდუქციის გამოშვება. საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ ვადამდე შეასრულა 1951 წლის საგეგმო დავალებანი.

რესპუბლიკის მშრომელები სასახელოდ ასრულებენ საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს.

პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი მხრუნველობით განუხრელად მაღლდება ხალხის კეთილდღეობა, უმჯობესდება მშრომელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებამ, რომლებსაც კოლექტიური ხელშეკრულებებით ყოველწლიურად იღებენ პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები, ხელი შეუწყო სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას. 1951 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადება და მათი შესრულების მასობრივი შემოწმება მუშა-მოსამსახურეთა მაღალი პოლიტიკური აქტივობითა და საწარმოო აღმავლობით ჩატარდა. კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტების განხილვისას შარშან მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე გამოვიდა 19 ათასზე მეტი კაცი, ხოლო შემოტანილ იქნა 15 ათასზე მეტი წინადადება.

გასული წლის სამეურნეო შედეგები ერთხელ კიდევ დამაჯერებლად მოწმობენ, რომ კოლექტიური ხელშეკრულება სოციალისტურ საწარმოში წარმოადგენს დიდ მაორგანიზებელ ძალას სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და მისი გადაჭარბებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობისა და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს წარმოებისა და მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მთავარ საკითხებს, მტკიცედ დამკვიდრდა თვითეული საწარმოს კოლექტივის ცხოვრებაში, იგი გახდა ძირითად პროფკავშირულ მუშაობად საწარმოებში.

ახორციელებდნენ რა კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ორმხრივ ვალდებულებებს, შარშან რესპუბლიკის სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის.

მიუხედავად ამისა, კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებისათვის ბრძოლაში ზოგიერთ პროფესიულ და სამეურნეო ორგანიზაციას ჯერ კიდევ აქვს არსებითი ნაკლოვანებანი. კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისას ისინი ყოველთვის როდი ითვალისწინებდნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში უკანასკნელ წლებში მომხდარ ცვლილებებს და როდი ასახავდნენ ამ ცვლილებებს ხელშეკრულებებში. ამის შედეგად მთელ რიგ საწარმოთა ხელშეკრულებებში ორმხრივ ვალდებულებებს უმთავრესად იღებდნენ გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის, ხოლო საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

მთელ რიგ საწარმოებში და მშენებლობებზე სოციალისტური შეჯიბრება ჯერ კიდევ არ არის მიმართული ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ეკონომიისა და რენტაბელობისათვის ბრძოლისაკენ, როგორც ამას საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმის გადწყვეტილებანი მოითხოვს.

1951 წლის მესამე კვარტალში ნაწარმის ნომენკლატურის მიხედვით გეგმა ვერ შეასრულა მსუბუქი, ადგილობრივი და სატყეო მრეწველობის სამინისტროების ზოგიერთმა საწარმომ, ქუთაისის სამთო მანქანათმშენებლობის და ლიტოპონის ქარხნებმა, საქართველოს მარმარილოს კომბინატმა, სალენინსაგლინავმა ქარხანამ და სხვ.

ქვანახშირის, სატყეო და ადგილობრივი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში, აგრეთვე ზოგიერთ ახალმშენებლობაზე ცუდად არის ორგანიზებული მუშათა შრომა, ადგილი აქვს შეფერხებებს მასალების მომარაგებაში, ცდებიან მექანიზმები, მუშათა ცალკეული ჯგუფები ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს.

ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია (ლოკომოტივსარემონტო ქარხანა, ახალციხის შახტსამმართველო, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, სო უპის და ჭიათურის ხორცკომბინატები, ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, გორის საკონსერვო ქარხანა, ტყიბულმახტმშენი, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა და ზოგიერთი სხვა საწარმო) ცუდად ასრულებს საწარმოებში შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესების ვალდებულებებს, ხოლო პროფორგანიზაციები საჭირო მოთხოვნებს არ უდგენენ ამ საწარმოთა ხელძღვანელებს.

ხორცისა და რძის, სატყეო და კვების მრეწველობის, სოფლის, სატყეო და წყალთა მეურნეობის სამინისტროების საწარმოების, ინგურკომბინატის, ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნის, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის და ზოგიერთი სხვა საწარმოს ხელმძღვანელები ვერ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს საბინაო მშენებლობის დარგში.

კოლექტიური ხელშეკრულებების ცალკეულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იმით არის გამოწვეული, რომ ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პროფორგანიზაციები კოლექტიური ხელშეკრულებებისა და მათი შესრულების მემოწმების მნიშვნელობის შეუფასებლობას იჩენენ, სათანადოდ ვერ იყენებენ კოლექტიური ხელშეკრულებას, როგორც მძლავრ საშუალებას საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ერიდებიან თავიანთი ნაკლოვანებების კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება სისტემატურ კონტროლს არ უწევს საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულების შესრულებას, საჭირო დახმარებას არ უწევს საწარმოთა ხელმძღვანელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

• • •

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის იანვარში საბრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებში, კავშირგამგეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში მიმდინარეობს 1951 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების შემაჯამებელი მასობრივი შემოწმება და 1952 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადება. მიმდინარე წელს ჩვენს რესპუბლიკაში კოლექტიური ხელშეკრულება დაიდება ათას საწარმოში.

1952 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს პროფორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა შემადგენლობაში მობილიზაცია სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებას.

ახალმა კოლექტიურმა ხელშეკრულებებმა უნდა მოიცვან სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ: დაწესებული ნომენკლატურითა და ასორტიმენტით პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმის შესრულებას და მის მაღალ ხარისხს, დანაკარგების შემცირებას, მომხმარებლისათვის არახარისხობრივი პროდუქციის მიწოდების პასუხისმგებლობა კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა აუცილებლად შესრულებისათვის, სამინისტროების კოლეგიების და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმის სხდომებსა და პლენუმზე ყოველ კვარტალში განიხილონ საწარმოებში ხელშეკრულებათა შესრულების მიმდინარეობა. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც სამინისტროები კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების საქმეს ანდობენ მთავარ სამმართველოსა და ტრესტებს, ხოლო ეს უკანასკნელნი — მეორეხარისხოვან მუშაკებს, ამასთანავე საწარმოთა დირექტორებისაგან არ მოითხოვენ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებას.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული პროფესიული ორგანიზაციების ინიციატივასა და ბეჯითობაზე, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მომთხოვნელობაზე, პროფკავშირული ხელმძღვანელის მიერ იმის შეგნებაზე, რომ იგი მთელი პასუხისმგებლობით მოეპყროს ამ ფრიად მნიშვნელოვან სამეურნეო-პოლიტიკურ დოკუმენტს. მნიშვნელოვანია ხელშეკრულების არა მარტო ყოველ კვარტალში შემოწმება, არამედ ყოველდღიური ზრუნვა ვალდებულებათა შესრულებისათვის.

პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მორიგი კამპანია უნდა ჩაატარონ როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ღონისძიება, ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტების განხილვაში ჩააბან მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა ფართო მასები, უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ახალი მძლავრი აღმავლობა სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ბელორუსიის სსრ. ყოველწლიურად უფრო და უფრო მშვენდება საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი. შენდება სახლები, კეთილმოწყობილი ზდება ქუჩები. დიდი სამუშაოები გაჩაღდა სადგურის მოედნის რეკონსტრუქციისათვის. სურათზე: მიწის მექანიზებული სამუშაოები სადგურის მოედანზე.

ფოტო პ. ნოვატოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲨᲔᲜᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲕᲐᲑᲔᲨᲘ

ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲘᲔ. (საკდესი). სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობის მთავარ სამმართველოში გაიმართა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოთა უფროსებისა და მთავარ ინჟინერთა თათბირი. გასული წლის წინასწარი შედეგებისა და მშენებელთა 1952 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა „უკრვოდსტროის“ მთავარმა ინჟინერმა ამხ. ვ. ნ. სიმაკოვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მშენებლობის კოლექტივმა შეასრულა 1951 წლის სახელმწიფო დავალება. მალე დაიწყება სიმფეროპოლის წყალსაცავის და კამენკის ქვედზე, ქვემო ინგულეცის და ზემო ინგულეცის მასივებზე სარწყავ სისტემათა აგება. ჩაღდება მოსამზადებელი სამუშაოები მდინარეების დნეპრისა და მოლოჩნაიას წყალგასაყარზე.

მომავალი სამუშაოების შესასრულებლად სიმფეროპოლში, სოფლებში დარიეკაში, ნოვო-გორეკაში, კამენკაში და სივაშის რაიონში იქმნება ახალი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები.

ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲕᲝᲚᲒᲐ-ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაზე ფართო ფრონტით მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები. ტრესტ „ჰიდრომონტაჟის“ სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა სტალინური პრემიის ლაურეატმა კ. ი. მელნიჩენკომ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჰიდროტექნიკური მოწყობილობისა და ლითონის კონსტრუქციების დარგში შესრულებულია ისეთი მოცულობის სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი მონტაჟის დროზე დამთავრებას. არხის ტრასის ცენტრალურ ნაწილში საზიდ კარსა და ერთ-ერთი წყალსაცავის წყალსაგდებზე სამუშაოები დამთავრდა.

რაბების მონტაჟზე მოწყობილია სამი ნაკადური ხაზი. სპეციალიზებული ბრიგადები ერთსა და იმავე ოპერაციებს ასრულებენ, გადადიან რა რაბიდან რაბზე. ეს უზრუნველყოფს სამუშაოთა მოკლე ვადებში შესრულებას და აუმჯობესებს სამუშაოთა ხარისხს.

უახლოეს ხანში დაიწყება თაღებისა და კოშკების ლითონკონსტრუქციათა დადგმა, რომლებითაც არქიტექტურულად გაფორმდება ვოლგიდან და დონიდან არხში შესასვლელი.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაზე მაღალკვალიფიციურ მემონტაჟეთა შესანიშნავი კადრები იზრდებიან. ისინი ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ მშენებლობებზე გადაიტანენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას. (საკდესი).

ᲬᲧᲐᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲕᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲨᲘ

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ. (საკდესი). მალე დამთავრდება როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 100 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვის პირველი რიგის მშენებლობა. როსტოვ-დონწყალმშენის სამმართველოს მიერ შესრულებულ მიწის სამუშაოთა მოცულობა შეადგენს 14,6 მილიონ კუბურ მეტრს; შესასრულებელი დარჩა 1,28 მილიონი კუბური მეტრი. არხების ტრასებზე უკვე აშენებულია 1.537 სარწყავი ნაგებობა. ზაფხულში ოლქის სემიკარაკორსკაიას, მარტინოვკის, რომანოვსკაიას, ვესიოლოს და სხვა რაიონებში მივა დონის წყალი.

ახლა მთავრდება განშტოებული სარწყავი ქსელის მშენებლობა, მიმდინარეობს ჯებირების ამოვსება მათი დაწევის შემდეგ, სარწყავ ნაგებობათა მშენებლობა არხების ტრასებზე.

მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1952 წლის ბოლოს მდინარე არაგვიც იცვლის მიმართულებას, საკოლმეურნეო დოვლათის გასამრავლებლად მუხრანის ველისაკენ გაუშურებ.

ასეთია მშენებლების გადწყვეტილება. დღეს არაგვის ნაპირებზე შეუნელებელი მრომითი გუგუნი ისმის. ექსკავატორები მდინარის ფსკერს რკინის კბილებით ღრღნიან, პერფორატორული ბურღები სიას აფორიაქებენ, დაუდგრომლად ბრუნავენ ბეტონსარეველა დანადგარები. ასე გრძელდება უოკელდღე და ყოველღამე, ასე მუშაობენ ამ სუსხიან ინვარში მუხრანის არხის მშენებლები.

მათი ამოცანაა მოსალოდნელი საგაზაფხულო წყალდიდობის მოახლოებამდე მოასწრონ კაშხალის საბოლოო ნაწილის საფუძვლის დაბეტონება საგარანტიო სიმაღლემდე, ხოლო სარწყავი სისტემის სათავის ნაგებობათა მთელი კვანძის მშენებლობა კი ძირითადად მაისამდე მოათავონ, რათა შემდგომ თვეებში სხვა უბნებზე ძალთა თავმოყრით უზრუნველყონ პირველი რიგის სამუშაოთა წელსვე დამთავრება და წყლის გამოშვება.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის სულისკვეთებით მუშაობს მუხრანმშენის მთელი კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ნიკოლოზ გაბუნია (მშენებლობის უფროსი) და ალექსანდრე ოდიშვილი (მთავარი ინჟინერი) ხელმძღვანელობენ.

— წელს ჩვენც უნდა გავახაროთ საქართველო ახალი შენაძენით!—ასეთია მათი ლოზუნგი. ამისათვის იბრძვიან დაუღალავად და თავდადებით მშენებლობის ყველა უბნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მექანიზატორები. ამისათვის ეჯიბრებიან ერთმანეთს ინჟინერების იპოლიტე პაშკოვის, ვლადიმერ ტოგონიძისა და შალვა ქეთხიშვილის უბანთა კოლექტივები.

ინჟინერ ი. პაშკოვის უბნის კოლექტივს სათავის ნაგებობათა კვანძის მშენებლობა აქვს მინდობილი. ამ უბნის მშენებელთა ამოცანაა უახლოეს რამდენიმე თვეში დაამთავრონ მდინარის გადამლობი კაშხალის, წყალმიმღები ნაგებობის, მაგისტრალური არხის წყალგამტარი გალერიის და გარკვეულ მანძილზე თვით მაგისტრალური არხის მშენებლობა.

კაშხალის მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟინერი ნიკო კრაწაშვილი. მის თანაშემწედ მუშაობს კომკავშრელი ტექნიკოსი, ბეჯითი მუშაკი ბეჟან ელისაშვილი. წყალმიმღებისა და გალერიის მშენებლობა მინდობილი აქვთ ახალგაზრდა მშენებლებს ინჟინერ გ. ლაკრბაიას და ტექნიკოს შოთა ბერაიას. ღამის ცვლაში სამუშაოებს უნარიანად ხელმძღვანელობს ოსტატი ზურაბ შარაშიძე.

ათიოდე დღის წინათ სათავის კვანძის მშენებლებმა მნიშვნელოვანი შრომითი წარმატება მოიპოვეს: დაამთავრეს კაშხალის მარჯვენა მხარის აგება, მდინარე მარცხენა მხრიდან მარჯვნივ მიუშვეს და მდინარისაგან განთავისუფლებულ ადგილზე შეუდგენენ კაშხალის მარცხენა ნაწილის მშენებლობას.

კაშხალის მშენებელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოსეფ ... დაგიშვილის ბრიგადის კარგი ... ნაყოფიერი მუშაობა. ... პირველმა დაიწყო კაშხალის ... ლობაზე მუშაობა და ... უთმობს პირველობას. ... ამაყო ადამიანები არიან ...

ავეჯის გასაპრიალებელი დაზგა

საქართველოს სსრ ... მრეწველობის ... ლურ და საავეჯო კომბინატში ... ნელოვანი ... ახალ გამოგონებას, ... რულ წესად ... დანერგვას, ... მიას აძლევს ...

ამას წინათ მუსიკალურ და საავეჯო კომბინატის ... ინჟინერმა ამხ. გ. ხვედელიანმა ... საპრიალებელი კონვეიერული დაზგა. ეს დაზგა ... დიდი წარმადობით და ... თობის ნაკლები ტევადობით.

ავეჯის ... საპრიალებელი დაზგა ... ბენით მექანიზებულია. ... ებულია ერთი ... ლოდ თვალყურს ... ბის პროცესს. ... მეტრის მანძილზე ... ლი გადამცემი ... ულია საპრიალებელ ... აქვს სპეციალური ... რომლის საშუალებით ... დიდი ტამპონის ... და ექსცენტრულად. ... სახის მოძრაობას ... სწორხაზოვანი ... ლიანდაგზე.

საპრიალებელი დაზგის მნიშვნელობა საგულისხმოა კიდევ იმით, რომ მისი საშუალებით ავეჯის გაპრიალება შეიძლება როგორც ნიტროლაქით, ისე შელაქით.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ამხ. ხვედელიანის საპრიალებელი დაზგის მეორე ნაწილი — დგარი, რომელზეც მაგრდება გასაპრიალებელი საგები. იგი წარმოადგენს ექვსწახნაგოვან პრიზმას, რომელიც მოძრაობს თავისი ღერძის ირგვლივ. დაზგის თვითეულ გვერდზე ხრახნის შეძწობით წარმოებს გასაპრიალებელი ნაწილების დამაგრება. ამ დგარზე იმდენი გასაპრიალებელი დეტალი ეტევა, რომ თუ ამ დეტალებს გაუშლით და ჩვეულებრივი წესით გავაპრიალებთ, 10-12-ჯერ მეტი ტევადობის საამუშაო ფართობი დასჭირდება.

ამ დგარის გამოყენება ხელით გაპრიალების დროსაც შეიძლება. ავეჯის საპრიალებელი კონვეიერული დაზგა ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობს მუსიკალურ-საავეჯო კომბინატში. ამ დაზგაზე მიმაგრებულმა გამკრიალებელმა ამხ. არუნოვმა 15 დღეში გააპრიალა 130 ცალი საწერი მაგიდის ტუმბი. აღნიშნული დაზგა ნიტროლაქით გაპრიალებისას 480 წუთის განმავლობაში ცვლის 25-30 მუშაჯელის საამუშაოს. ავეჯის გასაპრიალებელი დიდი წარმადობის კონვეიერული დაზგა მარტივი კონსტრუქციისაა და უმნიშვნელო რაოდენობით ხარჯავს ელექტროენერგიას.

ს. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აღრიცხვისა და სტატისტიკის სექტორის უფროსი

ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲕᲝᲚᲒᲐ-ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲕᲝᲚᲒᲐ-ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲕᲝᲚᲒᲐ-ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გორელი მშენებლები ამ დღეებში

ვისაც ოთხიოდე წლის წინათ სოფელი ტინისხიდი უნახავს, ეხსომება მტკვრისა და ლიახვის შესართავთან ცარიელი მინდვრები. აქ გორიდან დასავლეთით გადის გზატკეცილი, რომელიც ახლა დიდი ქალაქის პროსპექტს მოგაგონებთ. ლარივით სწორი გზატკეცილის ორივე მხარეზე ორსართულიანი, ლამაზი სახლებია ჩამწკრივებული. აქვეა გორის საფეიქრო კომბინატის საწარმოო კორპუსები, მუშათა საცხოვრებელი სახლები. კომბინატის მშენებლობა წარმატებით გრძელდება. სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ შარშან ნაყოფიერად იმუშავა და წლიური გეგმა დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავისათვის შესრულა. გეგმის გადამეტებით ათვისებულია მრავალი ასეული ათასი მანეთი.

ჩქარი ტემპით წარმოებს სართავსაქსოვი დაზგების დამონტაჟება და საბიბინო მშენებლობა. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ბინათმშენებლებმა, რომლებმაც საექსპლოატაციოდ გადასცეს 1.850 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სტალინური კონსტიტუციის დღისათვის ფეიქრთა მრავალი ოჯახი ჩასახლდა ახალ ბინაში. ახლო ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ერთი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, წარმატებით მიმდინარეობს 12 ორსართულიანი სახლის მშენებლობა. აღნიშნული სახლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახლო მომავალში. მთავრდება საბავშვო ბაღისათვის განკუთვნილი ორსართულიანი სახლის მშენებლობა. დაწყებულია კომბინატში მისასვლელი მთავარი გზის მოკირწყვლა. მისი მოასფალტება წელს პირველ კვარტალში დამთავრდება.

კომბინატის დაზგების დამონტაჟებასა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე სტახანოვური შრომით ძრავალმა მუშამ გაითქვა სახელი. ქვის მექანიზებულ თლაზე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს ბ. მაყიშვილის ბრიგადა, რომელიც დაკალებს მუდამ გადაჭეტებით ასრულებს. მეორე სამშენებლო უბანში ბ. პოლიჩენკოს დურგალთა ბრიგადამ ყველაზე ადრე გაანაღდა წლიური გეგმა.

უკანასკნელად შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა ტრესტ საქმშენის გორის სამშენებლო სამმართველომ. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ბინათმშენებლებმა, რომლებმაც საექსპლოატაციოდ გადასცეს 1.850 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სტალინური კონსტიტუციის დღისათვის ფეიქართ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდები არ მიეღოთ საბჭოთა წინადადება

პარიზი, 19 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეკონომიურ და ფინანსურ საკითხთა კომიტეტმა დაამთავრა ამ რეზოლუციების პროექტების განხილვა, რომლებიც შეტანილია მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით, და შეუდგა კენჭისყრას.

პირველს კენჭი უყარეს და მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩილის ერთობლივი გადასაწყვეტი პროექტი იმ მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც იტანჯება შიმშილით სხვადასხვა სტიქიური უბედურების: გვალვის, მიწისძვრის, ეფლავნების ამოფრქვევისა და სხვ. გამო. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებას. რეზოლუციის ავტორებმა დუმილით აუარეს გვერდი იმ ფაქტს, რომ დედამიწის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სურსათის ნაკლებობით იტანჯება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით მთელ რიგ ქვეყნებში გამალებული შეიარაღება უდიდეს რესურსებს — ადამიანთა და სამეურნეო რესურსებს ართმევს სამშვიდობო სამოქალაქო წარმოებას, მათ შორის მიწათმოქმედებას, და ამით ამწვავებს სურსათის ნაკლებობას, აქვეითებს მშრომელი მასების ცხოვრების დონეს. მათ არაფერი თქვეს იმაზე, რომ ბევრი ქვეყანა, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, დამოკიდებული ხდება იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დახმარებას უწევენ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა დელეგაციამ მთელი რიგი შესწორებანი შეიტანა რეზოლუციის ამ პროექტისათვის. ძირითადი პრინციპული შესწორება ის იყო, რომ გენერალურ ასამბლეას რჩება მიეცა ყველა ქვეყნისათვის ეხელმძღვანელნათ იმ პრინციპით, რომ დახმარება იმ რაიონებისადმი, რომლებიც სურსათის ნაკლებობასა და შიმშილს განიცდიან, არ უნდა იქნას განპირობებული პოლიტიკური, ეკონომიური თუ სამხედრო პრივილეგიების მოთხოვნით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დახმარებას უწევენ. საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლეოდა აგრეთვე სურსათის ნაკლებობასა და შიმშილთან საბრძოლველად განთავისუფლებულ იქნას მსოფლიო რესურსები გამალებული შეიარაღების შეწყვეტით და სამშვიდობო სამოქალაქო წარმოების გაფართოებით.

კომიტეტში დელეგაციების უმრავლესობისათვის სრულიად ცხადი იყო, რომ საბჭოთა წინადადებანი შეტანილია მხოლოდ და მხოლოდ იმათ სასარგებლოდ, ვისაც დახმარება ესაჭიროება და ვინც იტანჯება „დახმარების“ გაწევა უცხო სახელმწიფოზე ეკონომიური თუ პოლიტიკური დამოკიდებულებით. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი, რომელიც რამდენჯერმე გამოვიდა რეზოლუციის თავისი პროექტის დასაცავად, იმ ამედით, რომ შექანიკური უმრავლესობა ავტომატურად დაუჭერდა მხარს, ცდილობდა უგულებელყოს საბჭოთა წინადადებანი, ხოლო სსრ კავშირის წარმომადგენლის პირდაპირ კითხვაზე, მისაღებია თუ არა შეერთებული შტატებისათვის ეს საბჭოთა შესწორებანი, ქედმაღლურად უპასუხა: „კატეგორიულად არა“.

მაგრამ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ვარაუდის საწინააღმდეგოდ, ძირითად საბჭოთა შესწორებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ გენერალურმა ასამბლეამ უარჩიოს „იხელმძღვანელონ პრინციპით, რომ დახმარების გაწევა იმ რაიონებისათვის, რომლებიც სურსათის ნაკლებობასა და შიმშილს განიცდიან, არ უნდა იყოს განპირობებული პოლიტიკური, ეკონომიური თუ სამხედრო პრივილეგიების მოთხოვნით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დახმარებას უწევენ“, ბევრმა დელეგაციამ დაუჭირა მხარი.

როცა საქმე კენჭისყრაზე მიდგა, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა ვერ გაბედეს ხმა მიეცათ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ და იგი მიღებულ იქნა 17 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ, 27 დელეგაციამ თავი შეიკავა.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებას, რომელიც ამრიგად დამოუკიდებელ პუნქტად შეტანილ იქნა კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, ხმა მისცეს ინდოეთის, ინდონეზიის, ეიროპის, ირანის, ლიბერიის, ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთის, გვატემალისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნახევარი წლის წინათ, ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-13 სესიაზე ჟენევაში, ინგლის-ამერიკის ბლოკმა მოახერხა ანალოგიური საბჭოთა წინადადების უარყოფა. ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე პარიზში მდგომარეობა შეიცვალა. საბჭოთა წინადადებას მხარი დაუჭირა და მიიღო დელეგაციების უმრავლესობამ, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენისა.

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხის განხილვა პენანრუდ სხდომაზე

პარიზი, 20 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელი დილის სხდომა მიეძღვნა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხის განხილვას. ამ საკითხის არსი ის არის, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ყოფილი სამანდატო ტერიტორია, რომელიც სამხრეთ აფრიკის კავშირის მმართველობაშია, ფაქტიურად გადაქცეულია სამხრეთ აფრიკის კავშირის პროვინციად. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის წინანდელ სესიებზე უკვე მიიღო ოთხი რეზოლუცია, რომლებშიც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობას მითითება ეძლეოდა, რომ საჭიროა წარმოადგინოს შეთანხმება სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე საერთაშორისო მეურვეობის დაწესების შესახებ, ამ მთავრობამ თავი აარიდა ყველა ამ გადაწყვეტილების შესრულებას და დაადგა სამხრეთ აფრიკის კავშირთან ტერიტორიის პირდაპირი შეერთების გზას. სამეურვეო კომიტეტის ახლანდელ სესიაზე ამ საკითხის განხილვის დროს ზოგიერთი ტომის ბელადებმა პეტიციით მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ჩიოდნენ სასტიკი თარეშისა და რასობრივი დისკრიმინაციის ბეში, რასაც სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მოსახლეობა განიცდის სამხრეთ აფრიკის კავშირის ხელისუფალთა მხრივ. კომიტეტმა დაადგინა მოუსმინოს პეტიციონერებს და მიიწვია ისინი პირადად, მაგრამ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობამ უარი უთხრა მათ გამგზავრების ნებართვის მიცემაზე.

ამ საკითხის განხილვის შედეგად სამეურვეო კომიტეტმა მიიღო ორი რეზოლუცია, რომლებიც 19 იანვარს დასამტკიცებლად წარედგინა პლენუმს. პირველი რეზოლუცია (რეზოლუცია „ა“) ითვალისწინებს სპეციალური კომიტეტის აღდგენას სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიის შესახებ. მეორე რეზოლუცია (რეზოლუცია „ბ“) ადასტურებს გენერალური ასამბლეის წინანდელ პოზიციას იმის შესახებ, რომ „ტერიტორიის საერთაშორისო სტატუსის შეცვლის ნორმალური გზა იქნებოდა მისი შეყვანა მეურვეობის საერთაშორისო სისტემაში“.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, უკანონოდ თვლიდა რა სამხრეთ აფრიკის კავშირის მიერ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ანექსია და ფიქრობდა რა, რომ ეს ტერიტორია შეუვალი უნდა იქნას მეურვეობის საერთაშორისო სისტემაში, მხარს უჭერდა მეორე რეზოლუციას. მან ხმა მისცა „ა“ რეზოლუციის წინააღმდეგ, რადგან უკვე წინათ არსებულმა სპეციალურმა კომიტეტმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოეწესრიგებინა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხი სამხრეთ აფრიკის კავშირთან მოლაპარაკებით, ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია, და ამიტომ ამ კომიტეტის აღდგენა საჭირო არ არის.

სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა, რომელმაც უარი თქვა მონაწილეობა მიეღო სამეურვეო კომიტეტის მუშაობაში კომიტეტის ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პლენუმზე და ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ გადასინჯულიყო სამეურვეო კომიტეტის გადაწყვეტილებანი. იგი დაჟინებით აცხადებდა, რომ სამეურვეო კომიტეტს თითქოს არ ჰქონდა უფლება მოესმინა პეტიციონერებისათვის, რადგან სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა სამეურვეო ტერიტორია არ არის. სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატის გამოსვლამ, რაც აღსავსე იყო სამეურვეო კომიტეტის წინააღმდეგ და მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგ მკვეთრი გამოხდომებით, ცხადყო, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა არ აპირებს შეცვალოს მის მიერ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე შემოღებული წესები.

სამხრეთ აფრიკის კავშირის პოზიციის მხარი დაუჭირეს მთელი რიგი კოლონიური სახელმწიფოების — ინგლისს, ავსტრალიის, ბელგიისა და სხვების წარმომადგენლებმა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გენერალური ასამბლეა უნდა მოქმედებდეს მხოლოდ „დარწმუნების“ მეთოდით, და, მაშასადამე, მან არ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც არ ეთანხმება სამხრეთ აფრიკის კავშირი. ბელგიის დელეგატმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, საჭირო არ არის ლაპარაკი, რომ სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა გადაეცეს სამეურვეო სისტემას, რამდენადაც სამხრეთ აფრიკის კავშირი არ აპირებს ამას.

მაგრამ კოლონიურ სახელმწიფოთა ცდა—ზეგავლენა მოეხდინათ სხვა ქვეყნების დელეგაციებზე — მარცხით დამთავრდა. მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირი უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყველა წინანდელ გადაწყვეტილებას, აგრეთვე სამეურვეო კომიტეტის წევრთა უმრავლესობის აზრს.

ინდოეთის დელეგატმა უარყო სამხრეთ აფრიკის დელეგატის თეზისი იმის შესახებ, რომ სამეურვეო კომიტეტს თითქოს უფლება არა აქვს მოუსმინოს პეტიციონერებს. არ შეიძლება აღიარებულ იქნას, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატი, განაგრძო ინდოეთის დელეგატმა, წარმოადგენდეს ამ ქვეყნის ხალხს, რადგან იგი წარმოადგენს მხოლოდ თავის მთავრობას და არა ხალხს. შეეხო რა რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის საკითხს, რომლებიც გამეფებულია სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე, ინდოეთის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობას ეს ფაქტები სრულიადაც არ მიაჩნია სამარცხვინოდ.

შემდეგ კენჭისყრელად დასმული რეზოლუციები მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეგვიპტის ელჩის განცხადება

ვაშინგტონი, 22 იანვარი. (საკდესი). ეგვიპტის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში რაჰიმ-ბეიმ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან აჩესონთან საუბრის შემდეგ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ, ეგვიპტის მთავრობის აზრით, ინგლისელთა მიერ სუეცის არხის ზონის ოკუპაციაში მეორე სახელმწიფოს ყოველგვარი მონაწილეობა—სიმბოლური იქნება ეს, თუ არა,—არამეგობრული აქტი და ეგვიპტის სუვერენიტეტის ხელყოფა იქნება.

რაჰიმ-ბეიმ თქვა, რომ არხის ზონაში გრძელდება შეტაკებანი, რაც არ შეწყდება „მანამდე, სანამ ჩვენ ქვეყნის ეროვნული მისწრაფებანი არ განხორციელდება“. მან დადებითად უპასუხა კითხვაზე, გულისხმობს თუ არა ეს ეროვნული მისწრაფება ინგლისის ჯარების გაყვანას როგორც ეგვიპტიდან, ისე სუდანიდანაც.

რაჰიმ-ბეიმ განაცხადა, რომ მას არ განუხილავს აჩესონთან ერთად რაიმე წინადადება ეგვიპტოწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის გეგმის გადასინჯვის შესახებ. „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ საკითხი აღძრულ იქნა, აღნიშნა რაჰიმ-ბეიმ, მაგრამ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ ეს საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას, სანამ არ განხორციელდება ეგვიპტის ეროვნული მისწრაფებანი.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 21 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობას დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად თავდაცვითს ბრძოლებს განაგრძობდნენ წინანდელ ზღუდეებზე.

გუშინ აღმოსავლეთის ფრონტზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა. ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და გაფთრებული საარტილერიო სროლა წარმოებდა. სახალხო არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ორი იერიში და სეროიზული ზარალი მიაყენეს მას.

ცენტრალურ ფრონტზე ხვაჩხონის ჩრდილოეთით და კიმხვის რაიონში მოწინააღმდეგემ ტანკებისა და არტილერიის დახმარებით მთელი რიგი გაფთრებული იერიშები მოიტანა და ცდილობდა ხელთ ეგდო დიდმნიშვნელოვანი მაღლობები. არტილერიისა და თოფის ცეცხლით მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა და უკან დაიხია. ამ ბრძოლაში სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს, დაჭრეს და ტყვედ წამოიყვანეს მტრის 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ტანკი და 10-ზე მეტი ავტომანქანა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი, რომლებიც ცდილობდნენ დაებომბათ ვონსანის, ხამხანისა და ანჯუს რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობა.

იაპონიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოში

ტოკიო, 19 იანვარი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს იაპონიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი ცნობები, რომლებშიც ნათქვამია, თუ რა აღშფოთება გამოიწვია იაპონელი ხალხის ყველა ფენაში ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების შტაბის უხეშმა ზემოქმედებამ იაპონიის მთავრობაზე 1952-1953 წლის ბიუჯეტის სამხედრო ხარჯების ასიგნობათა საკითხში. როგორც ცნობილია, თავს მოახვიეს რა იაპონიას 1951 წლის 8 სექტემბერს ამერიკა-იაპონის სამხედრო შეთანხმება, შეერთებულმა შტატებმა დაიკისრეს იაპონიას აუტანელი ხარჯები ხელახალი შეიარაღებისათვის, აგრეთვე იაპონიაში ამერიკის ჯარებისა და სამხედრო ბაზების შენახვისავე. იაპონის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოს წევრის—სსრ კავშირის წარმომადგენლის გენერალ-მაიორ კისლენკოს მოთხოვნით 17 იანვარს მოწვეულ იქნა სამოკავშირეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც საბჭოთა წარმომადგენელმა შემდეგი შეკითხვა შეიტანა:

„გაზეთ „ნიპონ ტაიმსის“ 1952 წლის 9 იანვრის ცნობათა, 7 იანვარს იაპონიის მთავრობამ მოკავშირე სახელმწიფოთა მთავარსარდლის შტაბს მიმართა თხოვნით — მოიწონოს 1952-53 საბიუჯეტო წლის ასიგნებანი იმ ხარჯებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ეგრეთწოდებულ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივ თავდაცვასთან, ე. ი. იაპონიაში ამერიკის შეიარაღებული ძალების შესანახავად, სახელმწიფო პოლიციის რეზერვის ხარჯების დასაფარავად და სხვა—სულ 221 მილიარდი იენის რაოდენობით. ამის პასუხად შტაბმა, დაჟინებით მოითხოვა რა ხსენებული ხარჯებისათვის 250 მილიარდი იენის ასიგნება, იაპონიის მთავრობის თხოვნა უარყო.

რადგან იაპონიის მიერ ასეთი ხარჯების მიღება, რაც სრულიადაც არ არის გამოწვეული აუცილებლობით, კვეის პროდუქტებისა და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემდგომი გადიდების, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის შემცირების და გლეხებისა და ქალაქის მცხოვრებთა გადასახადების გადიდების მომასწავებელი იქნებოდა, ე. ი. რადგან ეს ეხება მთელი იაპონელი ხალხის ძირეულ საარსებო ინტერესებს, სასურველია თავმჯდომარისაგან მიგიღოთ პასუხი შემდეგ კითხვაზე: შეესაბამება თუ არა იაპონიის პრესის ზემოთ მოყვანილი ცნობა სინამდვილეს და რა აზრის არის მთავარსარდლის შტაბი გაზეთ „ნიპონ ტაიმსის“ ზემოთ მოყვანილი ცნობის გამო.

სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარემ ამერიკელ წარმომადგენელს სებოლდმა თავი აარიდა საბჭოთა წარმომადგენლის შეკითხვაზე არსებითს პასუხს და მხოლოდ გაიმეორა გაცვეთილი ცილისწამება, თანაც ისეთ თემაზე, რომელიც ამ საკითხს არ ეხება, თითქოს საბჭოთა კავშირი აჭიანურებდეს იაპონელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა ამერიკელთა საოკუპაციო ხელისუფლები ცდილობდნენ ეიძულებინათ იაპონიის პრესა არაფერი ეთქვა საბჭოთა წარმომადგენლის შეკითხვის შესახებ, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. იაპონიის მეტმა წამყვანმა გაზეთებმა მთლიანად გამოაქვეყნა საბჭოთა წარმომადგენლის შეკითხვა.

„საერთო ხელშეკრულება“ შეთქმულებაა გერმანელი ხალხის წინააღმდეგ, მშვიდობის წინააღმდეგ

ვალტერ ულბრიხტის გამოსვლა

ბერლინი, 20 იანვარი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 16 იანვარს ბერლინში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა. უპასუხა რა ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე, მან ბონის „კანცლერის“ ადენაუერის მიერ პარიზში ხელმოწერილი ევრეთწოდებული „საერთო ხელშეკრულება“ ამხილა, როგორც შეთქმულება გერმანელი ხალხის წინააღმდეგ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ უკვე დიდი ხანი გავიდა, მის ტექსტს ჯერ კიდევ საიდუმლოდ ინახავენ.

„მისტერმა ადენაუერმა, — თქვა ულბრიხტმა, — უარი განაცხადა გაეკეთებინა ბონის ფედერალური პარლამენტის დეპუტატებისათვის ინფორმაცია „საერთო ხელშეკრულების“ შესახებ და კიდევ უფრო ცუდი დამატებითი შეთანხმებების შესახებ“.

„ჩვენ გვსურს,—განაგრძო ულბრიხტმა,—დასავლეთ გერმანიის პარლამენტთა დეპუტატებს შესაძლებლობა მივცეთ თავის დროზე აიღონ ორიენტაცია, რადგან ყველა გერმანელმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რა გზით იაროს: მშვიდობიანი გზით აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა სრულიად გერმანიის თათბირის საშუალებით ეროვნული კრების სრულიად გერმანიის არჩევნებისა და საზავო ხელშეკრულებისაკენ, თუ ომისაკენ მიმავალი გზით, „საერთო ხელშეკრულებისა“ და შუმანის გეგმის საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის გზით, საკვდილისაკენ მიმავალი დამღუპველი გზით.

ეს სერიოზული საკითხი აქვს გადასაწყვეტი ყოველ გერმანელს. „საერთო ხელშეკრულება“ საოკუპაციო სტატუტის სახელის უბრალო გადარქმევა როდია. „საერთო ხელშეკრულება“ და მისი კანონური პირობები კიდევაც აღიმატება საოკუპაციო სტატუტს. ეგრეთწოდებული „საერთო ხელშეკრულებისა“ და დამატებით შეთანხმებათა საშუალებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს სურთ აიძულონ დასავლეთი გერმანია 50 წლით თქვას უარი გერმანიის ერთიანობასა და სუვერენულ უფლებებზე.

სამ დიდ სახელმწიფოს სურს შეინარჩუნოს და განამტკიცოს ოკუპანტების პოზიციები საინტერვენციო ჯარების გაძლიერებისა და ეკონომიკასა და საშინაო საქმეებში ჩარევის გზით. „საერთო ხელშეკრულება“ სამხედრო პაქტია, რომელიც არ ითვალისწინებს გერმანიის ვალდებულებათა შეზღუდვას. ამ ხელშეკრულებით დასავლეთ გერმანიის ჯარისკაცები მოვალენი არიან იბრძოლონ იმპერიალისტთა ინტერესებისათვის მსოფლიოს ყველა ნაწილში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი ან საფრანგეთი ომს ეწევიან.

„საერთო ხელშეკრულების“ ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია განცხადება პოტსდამის შეთანხმების აშკარა დარღვევის შესახებ. შეთანხმებისა, რომლის ძირითადი შინაარსი, როგორც ვიცით, არის ურთიერთობა გერმანიასთან, როგორც ერთიან ქვეყანასთან, აგრეთვე გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია. პოტსდამის შეთანხმებით ოკუპაცია დროებითი უნდა იყოს, მაშინ როცა „საერთო ხელშეკრულებით“ ეს ოკუპაცია უვადოა. პოტსდამის შეთანხმება შეიცავს ვალდებულებას გერმანელი ხალხისათვის საზავო ხელშეკრულების უზრუნველყოფის შესახებ, ხოლო „საერთო ხელშეკრულებამ“ მრავალი ათეული წლით უნდა შეაფერხოს საზავო ხელშეკრულების დადება. ამიტომ „საერთო ხელშეკრულებაში“ სიტყვაც არ არის ნათქვამი საზავო ხელშეკრულებაზე. და ეს სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან „საერთო ხელშეკრულება“ მესამე მსოფლიო ომის მომზადება სამეფო ემსახურება...

„საერთო ხელშეკრულების“ მუხლებში ძირითადად ლაპარაკია დასავლეთ გერმანიის სამხედრო ვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულების ხელმომწერი სამი სახელმწიფოს მიმართ, სუვერენულ უფლებებზე უარისთქმის შესახებ, ამის შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს უფლება აქვთ ჩაერიონ გერმანიის საშინაო საქმეებში.

1-ლ მუხლში ლაპარაკია დასავლეთ გერმანიის თანასწორუფლებიანობაზე, მაგრამ არა სხვა ხალხებთან თანასწორუფლებიანობაზე, არამედ თანასწორუფლებიანობაზე სამხედრო ბლოკში, რომელსაც ხელშეკრულებაში ეწოდება „თავდაცვითი თანასაზოგადოება“. სავსებით ნათელია, რომ გერმანიის დაქირაველები ჯარები არა მარტო თანასწორუფლებიანი არიან, არამედ ის „უპირატესობაც“ კი აქვთ, რომ ისინი თავს დადებენ ამერიკელთა დამპყრობლური ინტერესებისათვის ომის ყველაზე წინა ხაზზე.

მე-2 მუხლში ლაპარაკია დაურღვეველ განსაკუთრებულ სამხედრო შეთანხმებაზე, რომელიც ეგრეთწოდებულ ფედერალურ რესპუბლიკას აკისრებს ვალდებულებას „ყოველნაირად“ შეეტანოს თავისი წვლილი. ეს პირობები ბევრად მეტია, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მიღებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებშიც, მაგალითად, სამხედრო დახმარებას უკავშირებენ გარკვეულ პირობებს ან როგორღაც ზღუდავენ...

ფედერალური რესპუბლიკა კი პირდაპირ უნდა ემორჩილებოდეს შეიარაღების ამერიკელ მეფეთა ბრძანებებს. ვაშინგტონში შეადგენენ სამხედრო გეგმებს, და დასავლეთ გერმანია ბრძანებათა შესაბამად ვალდებული იქნება „ყოველნაირად“ შეიტანოს თავისი წვლილი. ეს უმაგალითო უბედურებას მოასწავებს მშრომელი ხალხისათვის. აგრეთვე უკვე გათვალისწინებულია მომავალი კრიზისი ამ შემთხვევაში მაოკუპირებელ სახელმწიფოებს სურთ გამოიყენონ შინაპოლიტიკური ჩარევის თავიანთი „უფლება“.

მე-3 მუხლში ფორმალურად ნათქვამია, რომ ფედერალური რესპუბლიკა ევრობის ხალხთა თანასაზოგადოების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, ხოლო მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ ფედერალური რესპუბლიკა მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო საზეიმოდ კისრულობს ვალდებულებას უარი თქვას ამ ხელშეკრულების დამატებითს შეთანხმებაში აღნიშნულ ზოგიერთ სუვერენულ უფლებაზე.

შემდეგ ნათქვამია, რომ მოკავშირე მთავრობები ფედერალურ მთავრობასთან სრული ურთიერთგაგებით ინარჩუნებენ საჭირო შემთხვევისათვის ჩარევისა და ძალაუფლების კვლავ თავის ხელში აღების უფლებას. ეს არის აღნიშნული ერთ-ერთ დამატებითს შეთანხმებაში და აღიარებულია ხელშეკრულების ხელმომწერი ყველა მხარის მიერ.

სხვა მუხლებში ნათქვამია, რომ ფედერალური მთავრობა საზეიმოდ აღიარებს უმაღლეს კომისართა ყველა კანონს, განკარგულებისა და დადგენილებას ხელშეუხებლობას. ამრიგად, თანასწორუფლებიანობის შესახებ განცხადებათაგან აღარაფერი რჩება. გარდა ამისა, მე-6 მუხლის მე-2 აბზაცში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდ ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს სჭირო შემთხვევაში შეუძლიათ განუსაზღვრელი დროით „შეინარჩუნონ კონტროლის უფლება დამატებითი შეთანხმების შესაბამისად“. „რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შეუძლიათ,—თქვა ულბრიხტმა,—დაითანხმონ თავიანთი ბონელი ვასალები, მაგრამ გერმანელ ხალხს თავისთვის სავალდებულოდ არ მიაჩნია არც შუმანის გეგმა, არც ევროპაფერერების „საერთო ხელშეკრულება“. ეს ხელშეკრულებანი წარმომადგენენ დასავლეთ გერმანიის მაოკუპირებელ სახელმწიფოთა დიქტატს და იმის შედეგს, რომ ბონის მთავრობამ და ბუნდესტაგი სოციალ-დემოკრატიულმა ხელმძღვანელობამ უღალატეს ერს. ყველა პატრიოტულად განწყობილი გერმანელი იბრძოლებს შუმანის გეგმის განხორციელების წინააღმდეგ, „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ და ჩაფოშავს ამერიკელთა ომის მომზადების გეგმებს“.

ბერლინში

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბიულეტენი

პარიზი, 20 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

საფრანგეთის კომუნისტური პარტია თავის მრისხანე პროტესტს გამოთქვამს საფრანგეთის მთავრობისა და ტუნისში მისი გენერალური რეზიდენტის ვიკონტ დე ოტკლოკის მიერ მოწყობილი სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ, რომელთა შედეგად ორი დღის განმავლობაში მოკლეს სამი და დაჭრეს 60-ზე მეტი კაცი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია პატიჟეს სცემს ამ პოლიტიკის მსზეგრპლთა, ტუნისელ პატრიოტთა ხსოვნას, უსურვებს დაჭრილთა მალე განკურნებას და სოლიდარობას უცხადებს ეროვნული მოძრაობის დაპატიმრებულ და გადასახლებულ ხელმძღვანელებს, რომელთა შორისაც არიან პარტია „ნეო-დესტურის“ თავმჯდომარე ჰაბიბ ბურგიბა და პარტია „ნეო-დესტურის“ მდივანი მონჯი სლიმი, ტუნისის კომუნისტური პარტიის მდივნები მუჰამედ ენფაა, მორის ნიზარი, მოჰამედ ჯერადი, ტუნისის თავისუფლებისა და შშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარე სლიმან ბენ სლიმანი, ტუნისელ შშრომელთა საყოველთაო კავშირის მდივნები ბელჰასენ ჰიარი და ჟაკ ბელეში: სოლიდარობას უცხადებს აგრეთვე ყველა დაპატიმრებულ პატრიოტს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მტკიცე პროტესტს აცხადებს საფრანგეთის მთავრობის სასტიკი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, მთავრობისა, რომელიც ამ მომენტში, როცა ტუნისის საკითხი ვიერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშეა დასმული, ცდილობს ჩაახშოს მოძრაობა ტუნისელი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის. იქცევა რა ასე, საფრანგეთის მთავრობა მოქმედებს დე გოლის მფარველობით დაჯილდოებული ერთი მუჭა კოლონიურ სპეკულანტთა ინტერესებისათვის, ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაგრველთა ინტერესებისათვის, რომელიც ტუნისს აგრესიის ბაზად აქცევენ.

ადასტურებს რა თავის 1951 წლის 21 დეკემბრის განცხადებას, საფრანგეთის კომუნისტური პარტია კვლავ აღნიშნავს, რომ ერთადერთი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებსა და ჩვენი ხალხის თავისუფლების ტრადიციებს, ის არის, რომ დამყარებულ იქნას ტუნისელ ხალხთან, ისევე როგორც ამჟამად ეგვიპტოლიბანიელ ყველა ხალხთან, უფლებათა სრულ თანასწორობასა და ორივე ხალხის ინტერესების შესაბამის ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაზე დაფუძნებული მეგობრული ურთიერთობა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მიესალმება ტუნისელ ხალხს და კვლავ უცხადებს მას საფრანგეთის მუშათა კლასისა და მთელი ხალხის სრულ სოლიდარობას იმ მომენტში, როცა იგი იწყებს საყოველთაო პატრიოტულ გაფიცვას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს შშრომელებს, დემოკრატებსა და ფრანგ პატრიოტებს მოითხოვონ დაპატიმრებულთა და გადასახლებულ ტუნისელი პატრიოტების უფუყოფნობლივ განთავისუფლება, საალყო წესების გაუქმება, ადამიანის უფლებათა დაცვისეული რეპრესიების შეწყვეტა და მოსთხოვონ საფრანგეთის მთავრობას დაამყაროთლის ტუნისელ ხალხის კანონიერი მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

მირველი გვერდი — „პ